საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია

ეთიკის კომისია

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრებაზე უარის თქმის თაობაზე

მესამე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

მამუკა ნოზაძე – კოლეგიის თავმჯდომარე

ანა კოტეტიშვილი – კოლეგიის წევრი

ბესარიონ ბოხაშვილი – კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი – დ. პ.

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 24.10.2021

საჩივრის რეგისტრაციის ნომერი: 071/21

საჩივარი შემოტანილია: ადვოკატ ლ. ბ.-ის /სიითი N/ მიმართ

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ ლ. ბ.-ისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 2021 წლის 24 ოქტომბერს სსიპ ,,საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა დ. პ.-მ და მოითხოვა ადვოკატ ლ. ბ.-სთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება. დ. პ. დაესწრო 2022 წლის 24 მაისის საპროცესო კოლეგიის სხდომას, სადაც დაადასტურა წერილობით საჩივარში აღწერილი ფაქტობრივი გარემოებები.

1.2 საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატ ლ. ბ.-სთან 2020 წლის 27 ივნისს, დედამისმა - ვ. პ.-მ გააფორმა საადვოკატო მომსახურების შესახებ ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც ადვოკატს უნდა დაეცვა მისი შვილის - დ. პ.-ს ინტერესები სისხლის სამართლის საქმეში. დ. პ.-ს ბრალად ედებოდა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის მე-5 და მე-6 ნაწილებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენა. მხარეთა შეთანხმებით, საადვოკატო მომსახურების საფასურად განისაზღვრა 3000 აშშ დოლარი.

1.3 საჩივრის ავტორი განმარტავს, რომ ადვოკატმა ლ. ბ.-მა სწრაფად მოიპოვა მისი ნდობა. თავდაპირველად, ადვოკატი ჰპირდებოდა სასჯელაღსრულების დაწესებულებიდან სწრაფ გათავისუფლებას, ელექტრონული ზედამხედველობის გამოყენებით შინაპატიმრობას და ამნისტიას. მოგვიანებით, საგრძნობლად შეიცვალა ადვოკატის დამოკიდებულება, კერძოდ, ყურადღებას არ აქცევდა საჩივრის ავტორისა და ვ. პ.-ს მოკლე ტექსტურ შეტყობინებებსა და სატელეფონო ზარებს; არ აწვდიდა მათ ინფორმაციას საქმის მიმდინარეობაზე; იღებდა დ. პ.-სთვის განკუთვნილ ფულად გზავნილებს და საჩივრის ავტორს ბარათზე ურიცხავდა არასრულ თანხას.

1.4 საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატმა ლ. ბ.-მა ვ. პ.-ს მოსთხოვა 400 ევროს გადარიცხვა გენეტიკური (დნმ) ექსპერტიზის ჩასატარებლად, თუმცა სისხლის სამართლის საქმეში ასეთი ექსპერტიზის დასკვნა არ დევს და მას გაუჩნდა ეჭვი, რომ ადვოკატს ექსპერტიზა საერთოდ არ ჩაუტარებია. საჩივრის ავტორის განცხადებით, ადვოკატმა არ შეატყობინა ვ. პ.-ს, რომ საპროცესო შეთანხმების მიხედვით, ჯარიმის თანხა შემცირდა 15000 ლარამდე; არ მიაწოდა მას ინფორმაცია ჯარიმის გადახდაზე და ვ. პ.-ს ჯარიმის გადახდის ქვითარი მხოლოდ 1 კვირის შემდეგ გაუგზავნა. საჩივრის ავტორის განმარტებით, მისი საჭიროებების უზრუნველსაყოფად, ვ. პ. ადვოკატ ლ. ბ.-ს უგზავნიდა დამატებით თანხებს. ადვოკატი მისთვის მინდობილ თანხებს რიცხავდა პირად საბანკო ანგარიშზე. ადვოკატი ლ. ბ. ვ. პ.-ს სთხოვდა წარმატების ჰონორარის გადახდას, მიუხედავად იმისა, რომ მხარეები წარმატების ჰონორარზე არ შეთანხმებულან.

1.5 საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატმა ლ. ბ.-მა, დაარღვია შეთანხმების პირობები, კერძოდ, დ. პ.-ს ინტერესების დაცვის მიზნით არ მიმართა შეწყალების კომისიას და წარადგინა მხოლოდ საკასაციო საჩივარი.

1.6 საჩივრის ავტორის განმარტებით, 2020 წლის 10 ოქტომბერს, გენერალური მინდობილობის საფუძველზე, ადვოკატმა ლ. ბ.-მა პოლიციაში მიიღო მისი პირადი ნივთები, მათ შორის, „მონობანკი"-ის საბანკო ბარათი, რაც დასტურდება პოლიციაში შედგენილი ოქმით. საჩივრის ავტორი განმარტავს, რომ მისი პირდი ნივთები ადვოკატ ლ. ბ.-ს უნდა გადაეცა ვ. პ.-სთვის, რასაც ადვოკატი თავს არიდებდა და დ. პ.-ს ინფორმირების გარეშე იყენებდა მის კუთვნილ საბანკო ბარათს. საჩივრის ავტორის განმარტებით, ვ. პ.-ს არაერთი თხოვნის შემდეგ, 2021 წლის 03 მაისს, მას დაუკავშირდა ადვოკატი ლ. ბ. და მიაწოდა ინფორმაცია, რომ დ. პ.-ს ნივთებს მის ძმიშვილს გამოატანდა. ადვოკატისაგან მიღებულ ნივთებს შორის არ იყო საკრედიტო ბარათი.

1.7 საპროცესო კოლეგიის 2022 წლის 24 მაისის სხდომაზე დ. პ.-მ განმარტა, რომ ადვოკატ ლ. ბ.-ს გაანდო საბანკო ბარათის დაცვის კოდი და მას საბანკო ბარათზე არსებული თანხა უნდა გამოეყენებინა საპროცესო შეთანხმებით განსაზღვრული ჯარიმის გადასახდელად, თუმცა ადვოკატმა მიაწოდა ინფორმაცია, რომ ბარათზე თანხა არ იყო, რაც არ შეესაბამებოდა სინამდვილეს. საჩივრის ავტორის განმარტებით, მოგვიანებით, მან მინდობილობა გასცა ვ. პ.-ს სახელზე, რის შემდეგაც საბანკო დაწესებულებაში გაირკვა, რომ საბანკო ბარათზე არსებული 81000 უკრაინული გრივნადან, დარჩენილი იყო მხოლოდ 205 გრივნა. თანხა ბარათიდან გაიხარჯა 2020 წლის 16 ოქტომბრიდან, 2021 წლის 03 თებერვლამდე, ადვოკატ ლ. ბ.-სთვის მინდობილობის გაფორმების შემდეგ, სავაჭრო მომსახურების ქსელებსა და ბენზინ გასამართ სადგურებში. თანხის გარკვეული ნაწილი განაღდებული იყო ბანკომატის მეშვეობით. საჩივრის ავტორი დამატებით განმარტავს, რომ ბარათიდან დახარჯული თანხით ადვოკატ ლ. ბ.-ს არ შეუძენია დ. პ.-სთვის აუცილებელი ჰიგიენური ნივთები და საკვები პროდუქტები.

აღნიშნული ნივთების შესაძენად ადვოკატი ვ. პ.-სგან იღებდა დამატებით თანხებს. საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატმა ლ. ბ.-მა ვ. პ.-ს მიაწოდა ინფორმაცია, რომ მას საბანკო ბარათით არ უსარგებლია, თუმცა იცნობს იმ ხალხს, ვინც სარგებლობდა ბარათით და დაეხმარებოდა ვ. პ.-ს თანხის დაბრუნებაში.

1.8 საჩივრის ავტორის განმარტებით, მან განცხადებით მიმართა გენერალურ პროკურატურას და ადვოკატ ლ. ბ.-ის მიმართ აღძრულია სისხლის სამართლის საქმე თაღლითობისა და კიბერდანაშაულის მუხლებით. საჩივრის ავტორი ითხოვს ადვოკატის დისციპლინირებასა და საბანკო ბარათიდან გახარჯული თანხის დაბრუნებას.

1.9 2023 წლის 1 თებერავლს დ. პ. ს მის მიერ ეთიკის კომისიის აპარატთან კომუნიკაციისას გამოყენებულ ელექტრონული ფოსტის მისამართებზე: „---“ და „---“ ეთიკის კომისიის აპარატის მიერ ეცნობა განხილვის კოლეგიის სხდომის თარიღი - 2023 წლის 7 თებერვალი, 13:00 საათი და აუცილებელი რეკვიზიტები. საჩივრის ავტორი არ დაკავშირებია ეთიკის კომისიის აპარატს. საჩივრის ავტორი ცხოვრობს საზღვარგარეთ და გარდა ელ. ფოსტის მისამართისა ეთიკის კომისიისათვის არ უცნობებია სხვა საკონტაქტო რეკვიზიტები. 7 თებერვალს განხილვის კოლეგიის სხდომაზე საჩივრის ავტორი არ გამოცხადებულა და განხილვის კოლეგიამ მიიღო გადაწყვეტილება სხდომის გადადების შესახებ. 2023 წლის 9 თებერვალს საჩივრის ავტორს ეთიკის კომისიის აპარატთან კომუნიკაციისას გამოყენებულ ელექტრონული ფოსტის მისამართებზე: „---“ და „---“ ეთიკის კომისიის აპარატის მიერ ეცნობა განხილვის კოლეგიის სხდომის ახალი თარიღი - 2023 წლის 13 თებერვალი, 12:30 საათი და განემარტა, რომ საქმისწარმოების მიზნებისათვის ეთიკის კომისიისათვის უნდა ეცნობებინა საკუთარი პოზიცია. საჩივრის ავტორი არ დაესწრო 2023 წლის 13 თებერვლის განხილვის კოლეგიის სხდომას. საჩივრის ავტორს ეთიკის კომისიაში არც დამატებითი პოზიცია წარმოუდგენია.

2. ადვოკატის პოზიცია:

2.1 ადვოკატმა ლ. ბ.-მა 2021 წლის 10 ნოემბერს ეთიკის კომისიაში წარმოადგინა წერილობითი ახსნა-განმარტება, სადაც არ დაეთანხმა საჩივარში აღწერილ გარემოებებს. ადვოკატი ლ. ბ., წარმომადგენელთან - ადვოკატ გ. ტ.-სთან ერთად დაესწრო 2022 წლის 1 მარტს საპროცესო კოლეგიის სხდომას.

2.2 ადვოკატის განმარტებით, 2020 წლის 26 ივლისს აპლიკაცია „ვოთს აპის“ საშუალებით მიმართა ვ. პ.-მ და სთხოვა სისხლის სამართლის საქმეში წარმოედგინა მისი შვილის - დ. პ.-ს ინტერესები. მხარეებმა გააფორმეს საადვოკატო მომსახურების შესახებ ხელშეკრულება, რის შემდეგაც ადვოკატმა გამოწერა ორდერი და ჩაერთო საქმისწარმოებაში.

2.3 ადვოკატის განმარტებით, ის ხშირად ხვდებოდა დ. პ.-ს პენიტენციური დაწესებულების რუსთავის N5 ქალთა პენიტენციურ დაწესებულებაში. კლიენტს შეუთანხმდა დაცვის სტრატეგიაზე, რომლის მიხედვითაც დ. პ.-ს სურდა ეთანამშრომლა პოლიციასთან და გაეფორმებინა საპროცესო შეთანხმება.

2.4 ადვოკატის განმარტებით, კლიენტის ნების შესაბამისად მიმართა უფლებამოსილ ორგანოს საპროცესო შეთანხმების გაფორმების შეთავაზებით. პროკურატურა დათანხმდა დ. პ.-სთან საპროცესო შეთანხმების გაფორმებას - 3 წლით თავისუფლების აღკვეთისა და 100 000 (ასი ათასი) ლარის ჯარიმის გადახდის ოდენობით. ადვოკატის განცხადებით, აღნიშნული პირობით დ. პ. და ვ. პ. კმაყოფილები იყვნენ, თუმცა ვ. პ-მ ვერ შეაგროვა ჯარიმის თანხა, რის გამოც ადვოკატმა ლ. ბ.-მა რამდენჯერმე მიმართა

პროკურატურას ჯარიმის თანხის შემცირების მოთხოვნით. პროკურატურის მიერ ნაწილობრივ დაკმაყოფილდა ადვოკატის შუამდგომლობა და დ. პ.-ს წარედგინა საპროცესო შეთანხმების შეცვლილი პირობები - 4 წელი რეალური სასჯელისა და ჯარიმა - 15 000 ლარის ოდენობით. ადვოკატის განმარტებით, დ. პ. და ვ. პ. კმაყოფილებას გამოთქვამდნენ საპროცესო შეთანხმების პირობებზე.

2.5 ადვოკატ ლ. ბ.-ის განმარტებით, სინამდვილეს არ შეესაბამება ის გარემოება, თითქოს მან 100%-იანი გარანტია მისცა დ. პ.-ს და დაპირდა რომ აუცილებლად შეეხებოდა იმჟამად მოქმედი საქართველოს კანონი „ამნისტიის შესახებ“. ადვოკატის განცხადებით, შეუძლებელია წინასწარ იმის განსაზღვრა, სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებულ რომელ დანაშაულს და რა ოდენობით შეეხება ამნისტია. ადვოკატის განცხადებით, დ. პ.-ს ინტერესების დაცვის მიზნით სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება დ. პ.-ს მიმართ საქართველოს კანონი „ამნისტიის შესახებ“ გათვალისწინებული შეღავათის გამოყენებაზე უარი გაასაჩივრა უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატაში.

2.6 ადვოკატ ლ. ბ.-ის განმარტებით, ხშირად უკავშირდებოდა ვ. პ. , მათ შორის არასამუშაო საათებშიც და ადვოკატი აწვდიდა ინფორმაციას საქმის მიმდინარეობასა და დ. პ.-ს მდგომარეობაზე, რაც დასტურდება „ვოთს აპში“ არსებული მიმოწერით.

2.7 ადვოკატის განმარტებით, მან კონსულტაცია გაუწია ვ. პ.-ს საზღვრის კვეთასთან დაკავშირებულ სამართლებრივ საკითხებზე; საქართველოში ჩამოსვლის შემდეგ, მეორე დღესვე შეხვდა მას, რის შემდეგაც დ. პ. სათვის გადასაცემად იყიდეს პროდუქტები და ლ. ბ.-ის ავტომანქანით ჩავიდნენ ქ. რუსთავში.

2.8 ადვოკატის განმარტებით, დ. პ. გამუდმებით სთხოვდა მისთვის საკვები პროდუქტების, ტანსაცმლისა და ჰიგიენური საშუალებების შეძენას. კლიენტთან შეთანხმების მიხედვით, აღნიშნული პროდუქტები ლ. ბ.-ს უნდა შეეძინა დ. პ.-ს საბანკო ბარათით. ადვოკატის განცხადებით, მან არაერთი ასეთი გზავნილი გადასცა დ. პ.-ს. ადვოკატის განმარტებით, მას მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა დ. პ.-სა და ვ. პ.-სთან და მისთვის გაუგებარია რატომ შეცვალეს მათ ადვოკატისადმი დამოკიდებულება.

2.9 ადვოკატი ლ. ბ. დაესწრო 2023 წლის 7 თებერვლის განხილვის კოლეგიის სხდომას და განმარტა, რომ მისი პოზიცია სრულად არის ასახული წერილობით განმარტებასა და ადვოკატ გ. ტ.-ის მიერ საპროცესო კოლეგიისათვის წარდგენილ შუამდგომლობებში. ადვოკატის განმარტებით, იმ შემთხვევაში თუ საჩივრის ავტორს არ სურს დისციპლინურ საქმეზე ზეპირ მოსმენაში მონაწილეობის მიღება, ის თანახმაა განხილვის კოლეგიამ იმსჯელოს და გადაწყვეტილება მიიღოს ზეპირი მოსმენის გარეშე.

3. დისციპლინური დევნის აღმძვრელი საპროცესო კოლეგიის პოზიცია:

3.1 2022 წლის 05 სექტემბერს საპროცესო კოლეგიამ მიიღო გადაწყვეტილება ადვოკატ ლ. ბ.-ის მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრის თაობაზე. საპროცესო კოლეგიამ შეისწავლა საქმის მასალები და მიიჩნია, რომ საქმეში არსებული ფაქტობრივი გარემოებების საქმის წარმოების განხილვის ეტაპზე დადგენის შემთხვევაში, ადვოკატ ლ. ბ.-ის მიერ შეიძლება დარღვეულად ჩაითვალოს „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის ა) ქვეპუნქტი და მე–6 მუხლის მე-2 პუნქტი, ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-5, მე-6, მე- 12, მე-13 და მე-15 ნაწილები.

II სამოტივაციო ნაწილი

4. საქმის ფაქტები:

განხილვის კოლეგიის მიერ დადგენილია შემდეგი უდავო ფაქტები:

4.1 ადვოკატ ლ. ბ.-ს ა და ვ. პ.-ს შორის 2020 წლის 27 ივნისს გაფორმდა იურიდიული მომსახურების შესახებ ხელშეკრულება. ხელშეკრულების მე-2 მუხლის 1-ლი პუნქტის მიხედვით, ადვოკატ ლ. ბ.-ს დ. პ.-ს ინტერესები უნდა დაეცვა სისხლის სამართლის საქმეზე, მის ყველა ეტაპზე (წინასწარი გამოძიების დროსა და სასამართლოს ყველა ინსტანციაში).

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

- ვ. პ.-სა და ადვოკატ ლ. ბ.-ს შორის 2020 წლის 27 ივნისს გაფორმებული N--- ხელშეკრულება „სისხლის სამართლის საქმისწარმოებაში იურიდიული დახმარების შესახებ“.

4.2 ადვოკატმა ლ. ბ.-მა დ. პ.-ს ინტერესების დაცვის მიზნით 2021 წლის 8 აპრილს უზენაეს სასამართლოში წარადგინა საკასაციო საჩივარი.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

- *ადვოკატის მიერ 2021 წლის 08 აპრილს უზენაეს სასამართლოში წარდგენილი საჩივარი.*

4.3 ადვოკატი ლ. ბ. ხშირად უკავშირდებოდა ვ. პ.-ს და აწვდიდა მას ინფორმაციას დ. პ.-ს სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

- მხარეთა წერილობითი პოზიციები.

4.4 ადვოკატმა ლ. ბ.-მა დ. პ.-ს ინტერესების დაცვის მიზნით გადაიხადა დ. პ.-სთვის სასამართლოს მიერ დაკისრებული ჯარიმა 15 000 ლარის ოდენობით.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

- *საბანკო გადარიცხვის დამადასტურებელი ქვითარი.*

4.5 დ. პ. მ 2020 წლის 6 ოქტომბერს ადვოკატ ლ. ბ.-ს სანოტარო წესით შედგენილი მინდობილობით მიანიჭა უფლებამოსილება მიეღო საჩივრის ავტორის დაკავებისას მისგან ამოღებული ნივთები და ფულადი თანხა.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

- 2020 წლის 6 ოქტომბრის სანოტარო მინდობილობა, სადაც მარწმუნებელია დ. პ., ხოლო რწმუნებულია ადვოკატი ლ. ბ..

4.6 განხილვის კოლეგიის მიერ დადგენილი სადავო ფაქტებია:

4.6.1 მიაწოდა თუ არა ადვოკატმა ლ. ბ.-მა კლიენტს არასწორი ინფორმაცია საქმის მსვლელობასა და ხარჯებზე და გაუწია თუ არა კლიენტს ფორმალური წარმომადგენლობა.

კლიენტის არაკეთილსინდისიერ და არაკვალიფიციურ წარმომადგენლობასთან, ისევე როგორც საქმის მსვლელობასა და ხარჯებზე კლიენტისათვის არაზუსტი ინფორმაციის მიწოდებასთან დაკავშირებით

განხილვის კოლეგიამ არ გაიზიარა საპროცესო კოლეგიის პოზიცია და მიიჩნია, რომ მხარეთა მიერ დისციპლინური საქმისწარმოებისას ეთიკის კომისიაში წარმოდგენილი მტკიცებულებებით არ დასტურდება ადვოკატ ლ. ბ.-ის მიერ კლიენტის არაკეთილსინდისიერი, არაკვალიფიციური წარმომადგენლობა და კლიენტისათვის ინფორმაციის მიუწოდებლობა.

საჩივრის ავტორის მიერ განმარტებულია, რომ ადვოკატი უკავშირდებოდა დ. პ.-ს დედას - ვ. პ.-ს და აწვდიდა სხვადასხვა ინფორმაციას საქმის მდგომარეობისა და ცვლილების შესაბამისად, საპროცესო შეთანხმებასა და ჯარიმის ოდენობაზე, კერძოდ, ვ. პ.-სა და დ. პ.-სთვის ცნობილი იყო თანხის ოდენობა, რაც შეადგენდა 15000 ლარს. განხილვის კოლეგია ყურადღებას ამახვილებს მხარეთა წერილობით პოზიციებზე, სადაც მითითებულია, რომ ადვოკატმა ლ. ბ.-მა გადაიხადა სასამართლოს მიერ დ. პ.-სთვის დაკისრებული ჯარიმა 15000 ლარის ოდენობით. აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით ადვოკატმა ლ. ბ.-მა წარმოადგინა თანხის გადახდის ქვითარი. დ. პ. ს მიერ საკუთარი პრეტენზიის დასადასტურებლად, ეთიკის კომისიაში წარმოდგენილი ვ. პ.-სა და ლ. ბ.-ს შორის სოციალური ქსელის საშუალებით წარმოებული მიმოწერა კომისიამ არ გაითვალისწინა, ვინაიდან მიმოწერა შესრულებულია რუსულ ენაზე და საქმისწარმოების საპროცესო ეტაპზე მხარემ უარი განაცხადა მტკიცებულებების თარგმნაზე. განხილვის კოლეგიამ იხელმძღვანელა საქართველოს კონსტიტუციის მე-2 მუხლის მე-3 ნაწილით, რომლის მიხედვით „საქართველოს სახელმწიფო ენა არის ქართული, ხოლო აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში – აგრეთვე აფხაზური. სახელმწიფო ენა დაცულია ორგანული კანონით.“; საქართველოს ადმინისტრაციული კოდექსის მე-14 მუხლით, რომლის მიხედვით „ადმინისტრაციული წარმოების ენაა ქართული“. ამასთან, კოლეგია ყურადღებას ამახვილებს „სახელმწიფო ენის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველ ნაწილზე, სადაც მითითებულია, რომ „საქართველოს კონსტიტუციისა და საპროცესო კანონმდებლობის შესაბამისად, სამართალწარმოება ხორციელდება სახელმწიფო ენაზე.“ შესაბამისად, არასახელმწიფო ენაზე წარმოდგენილ დოკუმენტს არ აქვს მტკიცებულებითი ძალა. „მტკიცების ტვირთის სამართლიანი და ობიექტური განაწილების სტანდარტის მიხედვით, მტკიცების ტვირთი ეკისრება მას, ვინს ამტკიცებს და არა მას, ვინც უარყოფს“ (საქართველოს უზენაესი სასამართლოს 27.06.2016 წლის გადაწყვეტილება, საქმე #ას-1294-1214-2015). საჩივრის ავტორებს ეკისრებოდათ პოზიტიური ვალდებულება ეთიკის კომისიაში წარმოედგინათ სახელმწიფო ენაზე თარგმნილი მტკიცებულებები, რაც მათ არ გაუკეთებიათ. შესაბამისად, კომისიისათვის წარმოდგენილი მტკიცებულებებით არ დასტურდება ადვოკატ ლ. ბ.-ის მიერ კლიენტებისათვის არასწორი ინფორმაციის მიწოდების ფაქტი. განხილვის კოლეგიის განმარტებით, იმ შემთხვევაშიც კი, თუ დადასტურდებოდა, რომ ადვოკატმა მოლაპარაკების დეტალები აცნობა კლიენტს, ეს არ ჩაითვლება არასწორი ინფორმაციის მიწოდებად, ვინაიდან ადვოკატი ვალდებულია საქმის მიმდინარეობის ყველა ინფორმაცია და დეტალი აცნობოს მხარეს. შესაბამისად, ეთიკის კომისიაში წარმოდგენილი მტკიცებულებებით არ დასტურდება ადვოკატ ლ. ბ.-ის მიერ ვ. პ.-სა და დ. პ.-სთვის საქმისწარმოების ხარჯებზე არასწორი ინფორმაციის მიწოდების ფაქტი.

განხილვის კოლეგიამ არ გაიზიარა საპროცესო კოლეგიის შეფასება კლიენტის არაკვალიფიციურ და არაკეთილსინდისიერ წარმომადგენლობაზე და განმარტა, რომ საქმის მასალებით დასტურდება ადვოკატ ლ. ბ.-ის მიერ კლიენტის სასარგებლოდ სხვადასხვა საპროცესო მოქმედების განხორციელება, კერძოდ, ადვოკატი აქტიურად იყო ჩაბმული საპროცესო შეთანხმების გაფორმების პროცედურებსა და კლიენტის ინტერესების დასაცავად წარადგინა საკასაციო საჩივარი, რაც წარმოადგენს კლიენტის

ინტერესების სასარგებლო მოქმედებას და ადვოკატი მოქმედებდა კლიენტის საუკეთესო ინტერესების დაცვის მიზნით. ადვოკატის მიერ კვალიფიციურად შესრულებული სამუშაოს შეფასებისას, განხილვის კოლეგიამ ყურადღება გაამახვილა ეთიკის კომისიის პრაქტიკაზე, რომლის მიხედვითაც ეთიკის კომისია მოკლებულია შესაძლებლობას შეაფასოს ადვოკატ ლ. ბ.-ის მიერ განხორციელებული პროფესიული საქმიანობის ხარისხი და სტრატეგია.

შესაბამისად, განხილვის კოლეგიაში დისციპლინური საქმის განხილვისას არ დადგინდა ადვოკატ ლ. ბ.-ის მიერ კლიენტისათვის საქმის მსვლელობასა და საპროცესო ხარჯებზე ინფორმაციის მიუწოდებლობისა და კლიენტის ფორმალური წარმომადგენლობის ფაქტი.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

- მხარეთა წერილობითი პოზიციები;
- ჯარიმის თანხის - 15000 ლარის გადახდის დამადასტურებელი საბანკო ქვითარი;

4.6.2 განკარგა თუ არა ადვოკატმა ლ. ბ.-მა კლიენტის მიერ მინდობილი თანხა არადანიშნულებისამებრ და ეკისრება თუ არა მას აღნიშნული თანხის დაბრუნების ვალდებულება.

მინდობილი თანხის განკარგვასთან დაკავშირებით, საჩივრის ავტორმა და ადვოკატმა ეთიკის კომისიაში ურთიერთსაპირისპირო განმარტებები წარმოადგინეს. მართალია, ადვოკატმა ლ. ბ.-მა დაადასტურა კლიენტისაგან საბანკო ბარათის მიღების ფაქტი, თუმცა განმარტა, რომ საბანკო ბარათზე არსებული თანხა განკარგა დ. პ. ს მოთხოვნების შესაბამისად და კლიენტის მოთხოვნისამებრ, დ. პ. სათვის ყიდულობდა ჰიგიენურ საშუალებებსა და საკვებ პროდუქტებს. საკუთარი პოზიციის დასადასტურებლად დ. პ.-მ ეთიკის კომისიაში წარმოადგინა საბანკო ამონაწერი, სადაც მისი განმარტებით, დეტალურადაა მითითებული მონობანკის ბარათიდან თანხის გახარჯვისა და ადვოკატისათვის ჩარიცხული ფულადი თანხის ოდენობა, თუმცა საბანკო ამონაწერი წარმოდგენილი არ არის ქართულ ენაზე, შესაბამისად, გადაწყვეტილების 4.6.1 პუნქტში მითითებული მსჯელობის შესაბამისად, განხილვის კოლეგიამ არ გაითვალისწინა არაქართულენოვანი დოკუმენტები. განხილვის კოლეგია ყურადღებას ამახვილებს საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკაზე (საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2022 წლის 07 ივლისის გადაწყვეტილება, საქმე Nას-521-22) და განმარტავს, რომ მოცემულ შემთხვევაში საჩივრის ავტორმა სათანადო და დამაჯერებელ მტკიცებულებებზე მითითებით ვერ უზრუნველყო თავისი წილი მტკიცების ტვირთის რეალიზება, სახელდობრ, მან ვერ შეძლო ეთიკის კომისიის დარწმუნება რომ ადვოკატმა ლ. ბ.-მა დაარღვია პროფესიული ეთიკის კოდექსით დადგენილი ქცევის სტანდარტები.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

- საჩივარი;
- ადვოკატის განმარტება.

4.6.3 მისცა თუ არა გარანტია ადვოკატმა ლ. ბ.-მა დ. პ.-ს საქმის შედეგებზე.

განხილვის კოლეგია საქმეს იხილავს შეჯიბრებითობისა და მხარეთა თანასწორობის პრინციპების დაცვით. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის, მე-4 მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, „მხარეები თვითონვე განსაზღვრავენ, რომელი მტკიცებულებებით დაადასტურებენ მათი პრეტენზიის

საფუძვლად არსებულ ფაქტებს.“ შესაბამისად, საჩივრის ავტორს ეკისრება ვალდებულება, ეთიკის კომისიაში წარმოადგინოს ადვოკატის მიერ მისთვის საქმის შედეგზე გარანტიის მიცემის დამადასტურებელი უტყუარი მტკიცებულებები, რაც მას არ გაუკეთებია. შესაბამისად, მხოლოდ საჩივრის ავტორის განმარტებით განხილვის კოლეგია დადგენილად არ მიიჩნევს ადვოკატის მიერ კლიენტისათვის გარანტიის მიცემის ფაქტს.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

- მხარეთა ახსნა - განმარტება.

5. შემაჯამებელი დასკვნა

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისია გაეცნო საქმის მასალებს, შეისწავლა მხარეთა ახსნა-განმარტებები და მიიჩნევს, რომ ადვოკატ ლ. ბ.-ს არ უნდა დაეკისროს დისციპლინური პასუხისმგებლობა.

6. სამართლებრივი შეფასება

6.1. განსახილველ საქმეზე, დისციპლინური საქმის განმხილველი საპროცესო კოლეგიის მიერ დისციპლინური დევნა დაწყებულია ადვოკატის მიერ კლიენტის კეთილსინდისიერი და კვალიფიციური წარმომადგენლობისა და კლიენტისათვის საქმის მსვლელობასა და ხარჯებზე სრული და ზუსტი ინფორმაციის მიწოდების ეთიკური სტანდარტის შესაძლო დარღვევაზე („ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის დ) ქვეპუნქტი; ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, შემდგომში „ეთიკის კოდექსი“ მე-4 მუხლის პირველი პუნქტი და მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტი).

„ადვოკატმა კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად უნდა მისცეს რჩევა კლიენტს, კეთილსინდისიერად უნდა განახორციელოს კლიენტის წარმომადგენლობა და შეასრულოს პროფესიული ფუნქციები (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მე-5 მუხლის ა) ქვეპუნქტი, ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-5 პუნქტი).“

„ადვოკატი ვალდებულია დროულად მიაწოდოს კლიენტს ყველა ინფორმაცია და განუმარტოს ყველა შესაძლო ფინანსური ვალდებულება, რომელიც დაკავშირებულია მისი საქმის წარმოებასთან“ („ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-2 ნაწილი).

„ადვოკატმა კლიენტს მასთან შეთანხმებული წესით უნდა მიაწოდოს ინფორმაცია მასზე მინდობილი საქმის მსვლელობისა და საქმის წამოების მოსალოდნელი ხარჯების შესახებ“ (ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-6 ნაწილი).

6.2. განხილვის კოლეგია განმარტავს, რომ ადვოკატის და კლიენტის ურთიერთობის დაწყების შემდეგ, ადვოკატი ვალდებულია კლიენტს ჯეროვნად მიაწოდოს სრული და ზუსტი ინფორმაცია საქმის მიმდინარეობასა და საპროცესო ხარჯებზე. ადვოკატის მხრიდან აღნიშნული ეთიკური ვალდებულების შესრულება მჭიდრო კავშირშია კლიენტის კეთილსინდისიერი და კვალიფიციური მომსახურების ეთიკურ სტანდარტთან, ვინაიდან ადვოკატის კონსულტაციის საფუძველზე კლიენტი იღებს საბოლოო გადაწყვეტილებას საქმისწარმოების გაგრძელებასა და განსაზღვრული საპროცესო მოქმედებების განხორციელებაზე, რაც იმას ნიშნავს, რომ კლიენტი იწონებს ადვოკატის სამოქმედო სტრატეგიას ან უარს ამბობს ადვოკატის მიერ შეთავაზებულ გეგმაზე ან/და ადვოკატის მომსახურებაზე. ადვოკატის მიერ კლიენტისათვის განზრახ არასწორი ინფორმაციის მიწოდება ან/და არასრული ინფორმაციის

მიწოდება კლიენტს ართმევს შესაძლებლობას მიიღოს ინფორმირებული გადაწყვეტილება საქმესთან დაკავშირებით.

6.3. განხილვის კოლეგია განმარტავს, რომ საპროცესო ეტაპზე მტკიცების სტანდარტი უფრო დაბალია, ვიდრე განხილვის ეტაპზე. საპროცესო ეტაპზე ფაქტების დადგენა არ ხდება, თუმცა დისციპლინური დევნის აღძვრის ან აღძვრაზე უარის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას კოლეგია ხელმძღვანელობს მხარეთა ახსნა-განმარტებებისა და მტკიცებულებათა შესწავლის საფუძველზე და სადავო ფაქტებს განიხილავს დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტით. „დასაბუთებული ვარაუდი წარმოადგენს ფაქტების ან ინფორმაციის ერთობლიობას, რომელიც მოცემული დისციპლინური საქმის წარმოების მასალების მიხედვით დააკმაყოფილებდა ნეიტრალურ მეთვალყურეს, რათა დაესკვნა დისციპლინური გადაცდომის შესაძლო ჩადენა“ (სუსგ დს/შ10-13, 16.10.2013). ადვოკატის მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრის შემდეგ, დისციპლინური საქმის განხილვის კოლეგიის მიერ განხილვისას, მტკიცების გაცილებით მარალი სტანდარტი მოქმედებს. განხილვის კოლეგია ყურადღებას ამახვილებს საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკაზე (უზენაესი სასამართლოს 2014 წლის 17 ოქტომბრის გადაწყვეტილებაზე №ას-872-830-2013), რომლის მიხედვითაც ,,საკასაციო პალატა განმარტავს, რომ კონკრეტული ნორმით გათვალისწინებული იურიდიული ფაქტების შედეგად წარმოშობილი ურთიერთობების დასადასტურებლად, რაც საბოლოოდ წარმოადგენს სამართლის ნორმით გათვალისწინებულ მაკვალიფიცირებელ ელემენტებს, აუცილებელია ისეთი მტკიცებულებების არსებობა, რომლებიც თუნდაც მოწმეთა ჩვენებებთან ერთად უტყუარად მიუთითებენ ყველა მნიშვნელოვან გარემოებაზე“.

6.4. ეთიკის კომისიაში წარმოდგენილი საქმის მასალებით, მათ შორის მხარეთა განმარტებით, დასტურდება, რომ ადვოკატმა ლ. ბ.-მა აქტიური მონაწილეობა მიიღო დ. პ.-ს სისხლის სამართლის საქმეში; არაერთი საპროცესო მოქმედება განახორციელა, მათ შორის ჩაერთო პროკურატურასთან საპროცესო შეთანხმების გაფორმებასთან დაკავშირებულ მოლაპარაკებაში; კლიენტის სახელით გადაიხადა სასამართლოს მიერ დანიშნული ჯარიმა - 15000 ლარის ოდენობით და 2021 წლის 11 იანვარს საკასაციო საჩივარი წარადგინა საქართველოს უზენაეს სასამართლოში, სადაც ადვოკატი ასაჩივრებდა იმ ფაქტს, რომ დ. პ.-ს არ შეეხო ამნისტია და ითხოვდა კლიენტისათვის დანიშნული სასჯელის 1 წლით შემცირებას. მხარეთა განმარტებებით დასტურდება, რომ კლიენტი - დ. პ. და დ. პ.-ს დედა - ვ. პ. ინფორმირებულები იყვნენ როგორც ჯარიმის ოდენობაზე, ასევე საპროცესო შეთანხმების პირობებსა და ადვოკატის მიერ განხორციელებულ საპროცესო მოქმედებებზე, რაზეც მათ ადვოკატის მიმართ პრეტენზია არ გამოუთქვამთ. რაც შეეხება ადვოკატის მიერ კლიენტისათვის კვალიფიციური საადვოკატო მომსახურების გაწევის ფაქტს, განხილვის კოლეგია ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ადვოკატი დამოუკიდებელია პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას და ხელმძღვანელობს მხოლოდ კანონითა და პროფესიული ეთიკის კოდექსით დადგენილი ნორმებით. ადვოკატები საკუთარი კვალიფიკაციისა და პროფესიული ცოდნის ასამაღლებლად აბარებენ საკვალიფიკაციო გამოცდებს და გამუდმებით გადიან პროფესიულ ტრეინინგებს. კლიენტი თავად ირჩევს ადვოკატს და საქმისწარმოების პროცესში ნებისმიერ დროს შეუძლია უარი თქვას ადვოკატის მომსახურებაზე. განხილვის კოლეგია უთითებს, რომ ადვოკატი ლ. ბ. მოქმედებდა სპეციალიზაციის ფარგლებში, მის მიერ განხორციელებულ საპროცესო მოქმედებებზე კლიენტის ინფორმირებით. ეთიკის კომისია არაუფლებამოსილია შეაფასოს ადვოკატის მიერ არჩეული სტრატეგიასა და ტაქტიკაზე ან მიუთითოს მას რომელი საკანონმდებლო

ნორმით უნდა ეხელმძღვანელა კლიენტის დაცვის პროცესში ან/და რა მოქმედების განხორციელება იქნებოდა უმჯობესი და რა გავლენას იქონიებდა ადვოკატის სტრატეგია და ტაქტიკა საქმის შედეგზე.

6.5. საჩივრის ავტორს ეთიკის კომისიაში არ წარმოუდგენია ისეთი უტყუარი მტკიცებულებები, რაც დაადასტურებდა ადვოკატის მიერ „ადვოკატთა შესახებ“ კანონის მე-5 მუხლის ა) ქვეპუნქტის; მე-6 მუხლის მე-2 ნაწილის; ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-5 და მე-6 პუნქტებით დადგენილი ეთიკური სტანდარტების დარღვევის ფაქტებს.

6.6. დასახელებულ საქმეზე, დისციპლინური საქმის განმხილველი საპროცესო კოლეგიის მიერ დისციპლინური დევნა დაწყებულია ადვოკატის მიერ კლიენტის თანხების არამიზნობრივ განკარგვაზე, აღნიშნული თანხების დაუბრუნებლობაზე, კლიენტისათვის საქმის შედეგზე გარანტიის მიცემის შესაძლო ფაქტებზე (ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-3 პუნქტი; მე-8 მუხლის მე-12 პუნქტი; მე-8 მუხლის მე-13 პუნქტი და მე-8 მუხლის მე-15 პუნქტი).

„ადვოკატს უფლება არა აქვს კლიენტს მისცეს გარანტიები მისგან აღებული საქმის შედეგებთან დაკავშირებით“ (ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-3 პუნქტი).

„ადვოკატმა უნდა აწარმოოს სრული და ზუსტი ჩანაწერი კლიენტის მიერ გადახდილ საქმის წარმოების ხარჯებთან დაკავშირებით“ (ეთიკის კოდექსი, მუხლი მე-8 მუხლის მე-12 პუნქტი).

„ნებისმიერი ფულადი სახსრები ან ქონება, რომელსაც კლიენტი მიანდობს ადვოკატს უნდა ინახებოდეს დამოუკიდებლად ადვოკატის პირადი ფულადი სახსრების ან ქონებისაგან და იმართებოდეს კეთილსინდისიერად. ადვოკატი ვალდებულია კლიენტს მოთხოვნის საფუძველზე მიაწოდოს ანგარიშგება“ (ეთიკის კოდექსი, მუხლი მე-8 მე-13 პუნქტი).

„კლიენტის ინტერესების დაცვის შეწყვეტისას ადვოკატმა კლიენტს უნდა დაუბრუნოს ყველა დოკუმენტი, ფულადი სახსრები ან სხვა ქონება, რომელიც კლიენტმა ადვოკატს გადასცა ან მიანდო წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განხორციელებისას ან რომელიც ადვოკატმა სასამართლოსგან, სხვა ორგანოსაგან ან პირისგან მიიღო საქმის წარმოების პროცესში. კლიენტისთვის გადასაცემი თანხიდან ადვოკატს უფლება აქვს გამოქვითოს ურთიერთობის შეწყვეტამდე განხორციელებული მომსახურებისათვის მისაღები გასამრჯელო და გაწეული ხარჯი“ (ეთიკის კოდექსი, მე-8 მუხლის მე-15 პუნქტი).

6.7. განხილვის კოლეგია განმარტავს, რომ კლიენტისათვის საქმის შედეგებზე გარანტიის მიცემა, რაც კლიენტს უჩენს არარეალურ წარმოდგენას საქმის შედეგების თაობაზე, საფრთხეს უქმნის არა მხოლოდ ადვოკატისა და კლიენტის ურთიერთობასა და ერთი კონკრეტული ადვოკატის მიერ განხორციელებული პროფესიული საქმიანობის სანდოობას, არამედ უარყოფითად აისახება მთელ ადვოკატთა კორპუსზე და ლახავს პროფესიის რეპუტაციას.

6.8. განხილვის კოლეგიის განმარტებით, კლიენტის მიერ ადვოკატისათვის ფულადი სახსრების მინდობა ეფუძნება ნდობას და ადვოკატთა კორპუსის რეპუტაციისა და სანდოობის მაღალ ხარისხს საზოგადოების თვალში. ადვოკატი ვალდებულია კლიენტის მიერ მინდობილი ფულადი სახსრები გამოიყენოს კლიენტის მითითების შესაბამისად, ხოლო ვალდებულების შესრულების შემდეგ, სრულად, ყოველგვარი დაყოვნების გარეშე დაუბრუნოს თანხა ან/და სხვა ქონება კლიენტს. აღნიშნული ეთიკური ვალდებულების დაცვა ემსახურება როგორც ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობაში ნდობის

განმტკიცებასა და ფიდუციური ვალდებულებების შესრულებას, ასევე, იცავს ადვოკატთა კორპუსს რეპუტაციისა და იმიჯის შელახვისაგან.

6.9. საქმის შედეგზე გარანტიის მიცემასა და მინდობილი თანხების განკარგვასთან დაკავშირებით საჩივრის ავტორმა და ადვოკატმა ეთიკის კომისიაში ურთიერთსაპირისპირო განმარტებები წარმოადგინეს. საკუთარი პოზიციის დასადასტურებლად, ადვოკატის მიერ კლიენტისაგან მიღებული თანხის არამიზნობრივ განკარგვასთან დაკავშირებით, საჩივრის ავტორმა წარმოადგინა არაქართულენოვანი დოკუმენტი, რომლის თარგმნაზეც უარი განაცხადა. ადვოკატმა უარყო კლიენტისათვის გარანტიის მიცემის ფაქტი, თუმცა დაადასტურა დ. პ.-ს საბანკო ბარათის მიღება და განმარტა, რომ ის მოქმედებდა კლიენტთან ზეპირი გარიგების საფუძველზე, დ. პ-ს დავალების შესაბამისად და მისთვის ყიდულობდა ჰიგიენურ საშუალებებსა და საკვებ პროდუქტებს. აღნიშნული დავალების შესასრულებლად დ. პ.-მ ადვოკატ ლ. ბ.-ს გაუფორმა სანოტარო მინდობილობა. გამომდინარე იქიდან, რომ საქართველოს ადმინისტრაციული კოდექსისა და „სახელმწიფო ენის შესახებ“ კანონის შესაბამისად საქმისწარმოების ენა არის ქართული, განხილვის კოლეგია ვერ იხელმძღვანელებს არასახელმწიფო ენაზე შესრულებული დოკუმენტებით. შესაბამისად, დაუდგენელია საპროცესო მოქმედებების განსახორციელებლად რა თანხა მიიღო ადვოკატმა კლიენტისაგან.

6.10. გადაწყვეტილების მიღებისას, განხილვის კოლეგიამ ყურადღება გაამახვილა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 28 ივნისის განჩინებაზე №2ბ/183-11, რომლის მიხედვით ,,მტკიცების ტვირთს მატერიალური კანონი განსაზღვრავს, კერძოდ, ეს ის შემთხვევებია, როდესაც კანონით გათვალისწინებული შემადგენლობის არსებობის პრეზუმფცია მოქმედებს, ხოლო კანონით გათვალისწინებული შემადგენლობისგან განსხვავებული ფაქტობრივი გარემოებების მტკიცების ტვირთი იმას ეკისრება, ვინც საკანონმდებლო წესრიგიდან არსებულ გადახრას ამტკიცებს.“ დ. პ. ს ეთიკის კომისიაში არ წარმოუდგენია ისეთი მტკიცებულებები, რაც ლ. ბ.-ის მიერ პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-3 პუნქტის; მე-8 მუხლის მე-12 პუნქტის; მე-8 მუხლის მე-13 პუნქტისა და მე-8 მუხლის მე-15 პუნქტის დარღვევის ფაქტს დაადასტურებდა.

6.11. განხილვის კოლეგიამ იმსჯელა ადვოკატ ლ. ბ.-ის პოზიციაზე, რომლის მიხედვითაც, მას მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა დ. პ.-სა და ვ. პ.-სთან და ხშირად ეხმარებოდა მათ, კერძოდ დ. პ.-სთვის ყიდულობდა და უგზავნიდა ტანსაცმელს, ჰიგიენურ საშუალებებსა და საკვებ პროდუქტებს. განხილვის კოლეგია განმარტავს, რომ მხარეთა შორის ასეთი ურთიერთობის არსებობის შემთხვევაშიც კი, აღნიშნული სცდება ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობის ფარგლებს და წარმოადგენს პირად ურთიერთობას. განხილვის კოლეგია განმარტავს, რომ ეთიკის კომისია არის საქართველოს ადვოკატთა ასოციაციაში არსებული დისციპლინური დევნის განმახორციელებელი დამოუკიდებელი ორგანო, რომელიც ,,ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 28-ე მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად, ამოწმებს ადვოკატზე შემოსულ ინფორმაციას, სწავლობს მის საფუძვლიანობას და წყვეტს ადვოკატის დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხს. განხილვის კოლეგია მიუთითებს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის პოზიციაზე (2015 წლის 06 მაისის გადაწყვეტილება საქმეზე დს-შ/5-15, გვ.5), რომ ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი განსაზღვრავს პროფესიული ეთიკის ნორმებს და ქცევის წესებს, ანუ ისეთ ქცევის წესებს, რომლებიც უკავშირდება საადვოკატო საქმიანობას. „ადვოკატთა შესახებ“ კანონის მე-2 მუხლის თანახმად, „საადვოკატო საქმიანობა მოიცავს: ადვოკატის მიერ იურიდიული რჩევის მიცემას იმ პირისათვის, რომელმაც მას დახმარებისთვის მიმართა

(კლიენტი); კლიენტის წარმომადგენლობას საკონსტიტუციო დავის, სისხლის, სამოქალაქო ან ადმინისტრაციული სამართლის საქმეზე სასამართლოში, არბიტრაჟში, დაკავების, გამოძიების ორგანოებში; მესამე პირის მიმართ სამართლებრივი დოკუმენტების მომზადებასა და კლიენტის სახელით ნებისმიერი დოკუმენტაციის წარდგენას; ისეთი იურიდიული დახმარების გაწევას, რომელიც არ უკავშირდება მესამე პირის წინაშე წარმომადგენლობას“. შესაბამისად, აღნიშნული ურთიერთობის შეფასება სცდება ეთიკის კომისიის კომპეტენციის ფარგლებს.

6.12. ეთიკის კომისიამ იხელმძღვანელა „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების 3.2, 5.7, 19, 20, 40.2 მუხლებით და გადაწყვიტა:

III სარეზოლუციო ნაწილი

1. დისციპლინურ საქმეზე N071/21 ადვოკატ ლ. ბ.-ის /სიითი №/ მიმართ არ დაეკისროს დისციპლინური პასუხისმგებლობა.
2. გადაწყვეტილების ასლი გაეგზავნოთ მხარეებს.
3. ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრებაზე უარის თქმის თაობაზე საბოლოოა და არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე: /მამუკა ნოზაძე/

კოლეგიის წევრი: /ანა კოტეტიშვილი/

კოლეგიის წევრი: /ბესარიონ ბოხაშვილი/